# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 528

"7" ოქტომბერი 2022 წ.

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, ვარკეთილი - 3, III მ/რ, კორპუსი №310-ის მიმდებარედ 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.19.39.015.027) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „იმპექსფარმისთვის" (ს/ნ. 204927909) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი -3-ის, III მიკრორაიონის კორპუსი №310-ის მიმდებარედ, 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.39.015.027) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „იმპექსფარმისთვის" (ს/ნ 204927909) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 5 ოქტომბრის №22.1539.1670 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის III მ/რ, კორპუსი №310-ის მიმდებარედ 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.19.39.015.027) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „იმპექსფარმისთვის" (საიდენტიფიკაციო №204927909) გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 960 (ცხრაას სამოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე